არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირი კოლეჯი ,,განთიადი"

ბრძანება N 86

08 ნოემბერი 2022 წელი

ა(ა)იპ კოლეჯ "განთიადში" შუალედური შეფასების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ

"პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ემუხლის 1–ლი პუნქტის, საქართველოს მთავრობის დადგენილების 2022 წლის 09 აგვისტოს №416 „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ," ა(ა)იპკოლეჯი„განთიადის" წესდების მე-5 მუხლის "ა, თ" პუნქტების თანახმად

ვბრძანებ:

1. დამტკიცდესა (ა)იპკოლეჯ "განთიადში " შუალედური შეფასების ჩატარების წესი დანართი 1–ს შესაბამისად;
2. ბრძანების დაინტერესებული პირთათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა დაევალოს კოლეჯის საქმისმწარმოებელს /არქივარიუსს მარინე ამბრიაშვილს;
3. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის შემდეგ კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ.გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.N30).

დირექტორი ანა დათუაშვილი

დანართი
დამტკიცებულია:
ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ დირექტორის

2022 წლის ..... 08 ..... ნოემბრის № ..... 86 ..... ბრძანებით

ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადი“
შუალედური შეფასების ჩატარების წესი

შუალედური შეფასების ორგანიზება

შუალედური შეფასების წესსა და პირობებს განსაზღვრავს ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადი“ დუალური სწავლების შემთხვევაში, აღნიშნული წესი და პირობები განისაზღვრება სასწავლო საწარმოსთან თანამშრომლობით.

მუხლი 1.შუალედური შეფასების მიზანი და სამართლებრივი შედეგები

1. შუალედური შეფასება საშუალებას იძლევა, დავაკვირდეთ პროფესიული სტუდენტის პროგრესს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევასთან დაკავშირებით და დროულად უზრუნველვყოთ ჩარევა სწავლა-სწავლების პროცესში. საკვალიფიკაციო გამოცდისგან განსხვავებით, რომელიც განმსაზღვრელი ტიპის შეფასებაა, შუალედური შეფასება განმავითარებელი შეფასების სახეს ატარებს. შუალედური შეფასების შედეგად შემუშავდება რეკომენდაციები და რჩევები როგორც ცალკეული პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევასთან, ისე პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებით.შუალედური შეფასება ერთიანობაში უყურებს შუალედური შეფასების მომენტისათვის პროფესიული სტუდენტის მიერ განვლილი მოდულების ფარგლებში მიღწეულ სწავლის შედეგებს.შუალედური შეფასების მიზანს წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის პროგრესის დადგენა სწავლის შედეგების მიღწევასთან დაკავშირებით და მისთვის აღნიშნულზე განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა.

2. რაც შეეხება შუალედური შეფასების სამართლებრივ შედეგებს, აღნიშნული განსაზღვრულია სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების წესით, კერძოდ, შუალედური შეფასება არის სავალდებულო და შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის გარეშე დაუშვებელია საკვალიფიკაციო გამოცდაზე პირის დაშვება.

მუხლი 2.შუალედური შეფასების ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირი

1. შუალედური შეფასების დაგეგმვასა და განხორციელებას უზრუნველყოფს ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადი“, ხოლო დუალური მიდგომით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში კოლეჯი სასწავლო საწარმოსთან ერთად.

2. კოლეჯი უფლებამოსილია შუალედური შეფასების დაგეგმვასა და განხორციელებაში, თავისი შეხედულებისამებრ, ჩართოს დარგში არსებული დარგობრივი უნარების ორგანიზაცია, სხვადასხვა ასოციაცია/გაერთიანება ან/და ბიზნეს სუბიექტი/დარგის წარმომადგენელი.

3. შუალედური შეფასების ჩატარების მიზნით, კოლეჯი უფლებამოსილია შექმნას კომისია/კომისიები. კომისის/კომისიების მუშაობის წესი განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ -ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.

4. შუალედური შეფასების პროცესში შესაძლებელია პროფესიული განათლების მასწავლებლ(ებ)ის ჩართულობა.

მუხლი 3. შუალედური შეფასების ჩატარების პერიოდი

1. შუალედური შეფასების ჩატარებაზე კოლეჯი განსაზღვრავს შუალედური შეფასების ჩატარების პერიოდს. კერძოდ, შუალედური შეფასება მიზანშეწონილია ჩატარდეს პროგრამაზე სწავლების დაახლოებით შუა პერიოდში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

2. კოლეჯი ადგენს:

ა) შუალედური შეფასების პერიოდის განსაზღვრის პრინციპს - შუალედური შეფასება ტარდება, როდესაც პროფესიულ სტუდენტს გავლილი ექნება მოდულების შესაბამისი სწავლის შედეგების არანაკლებ 40% და არაუმეტეს 60%;

ბ) შუალედური შეფასება ტარდება დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადებში, რომელიც გამოიცემა შუალედური შეფასების ჩატარებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე.

3. კოლეჯი შუალედური შეფასების ჩატარებამდე გონივრული ვადაში აწვდის ინფორმაციას პროფესიულ სტუდენტს შეფასების თარიღის შესახებ.

მუხლი 4.შუალედურ შეფასებაზე დაშვების წინაპირობა

1. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების წესით შუალედურ შეფასებაზე დაშვების წინაპირობა დადგენილია მხოლოდ დუალური__სწავლების ფორმით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში. კერძოდ, დუალური ფორმით პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, შუალედურ შეფასებაზე დაშვების წინაპირობაა სრულფასოვნად შევსებული ჩანაწერების ჟურნალი.

2. მოქმედი კანონმდებლობა შუალედურ შეფასებაზე დაშვების სხვა დამატებით წინაპირობებს ან/და წესს არ ითვალისწინებს.

მუხლი 5.შუალედური შეფასების ფორმა, შინაარსი და შეფასების სისტემა

1. შუალედური შეფასების თემატიკა უნდა მოიცავდეს შუალედური შეფასების მომენტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულების დასრულებულ სწავლის შედეგებს, რაც გულისხმობს კომპლექსურად, განვლილი თემატიკის შემაჯამებელ დავალებას/დავალებებს.

2. კოლეჯი განსაზღვრავს, რა ტიპის დავალებები შეიძლება იყოს შუალედური შეფასებისას:

- კომპლექსური დავალება;
- პრაქტიკული დავალება;
- პრეზენტაცია;
- პორტფოლიოს პრეზენტაცია;
- დასრულებული ან მიმდინარე პროექტი;
- პროფესიული სტუდენტის მიერ საკუთარი სწავლის შედეგების ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის მომზადების გზით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სხვა ტიპის დავალება/დავალებები.

3. შუალედური შეფასების სისტემა ეფუძნება შეფასების ძირითად პრინციპებს, რომელიც კოლეჯს გაწერილი აქვს შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში - შუალედური შეფასების ფარგლებში გამოიყენება არადიფერენცირებული (დადასტურდა/ვერ დადასტურდა) შეფასება.

4. შუალედური შეფასება სრულდება განმავითარებელი უკუკავშირით. აღნიშნული გულისხმობს კომენტარს/უკუკავშირს პროფესიული სტუდენტის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის და სწავლის ხელშეწყობის მიზნით.

5. პროფესიული სტუდენტის შეფასება ხორციელდება წინასწარ შემუშავებული შეფასების რუბრიკით/სქემით.

მუხლი 6. შუალედურ შეფასებაში განმეორებით მონაწილეობა

1. შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის მიღება არის საკვალიფიკაციო გამოცდაზე პროფესიული სტუდენტების დაშვების წინაპირობა.

2. შუალედურ შეფასებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, შეფასების ჩატარებიდან არაუმეტეს ორი კვირის ვადაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ერთხელ, განცხადებით მიმართოს კოლეჯს დამატებით შუალედურ შეფასებაზე გასვლის შესახებ.

მუხლში 7.პროფესიული სტუდენტის ინფორმირება

1. კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას შუალედური შეფასების შესახებ (ჩატარების პერიოდი, მნიშვნელობა, შეფასებაში მონაწილეობის მიუღებლობის შედეგები, შეფასების წესი).

2. კოლეჯი ყველა პროფესიულ სტუდენტთან, რომლისთვისაც მოქმედი კანონმდებლობით სავალდებულოა შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა, გაფორმებულ ხელშეკრულებაში ასახავს პროფესიული სტუდენტის შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის ვალდებულებას და მისი შეუსრულებლობის შესაძლო შედეგებს.

3. კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას შუალედური შეფასების ჩატარებამდე არანაკლებ 5 სამუშაო დღით ადრე, ხოლო განმეორებით შუალედური შეფასების ჩატარებამდე არანაკლებ 3 სამუშაო დღით ადრე.

მუხლი 8.შუალედური შეფასების შედეგების გასაჩივრების მიზანშეუწონლობა

კოლეჯს არ აქვს ვალდებულება, შექმნას შუალედური შეფასების შედეგების შიდა გასაჩივრების მექანიზმი. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ შუალედური შეფასებისას გაიცემა განმავითარებელი უკუკავშირი. ამასთან, შუალედური შეფასება პროფესიული სტუდენტისთვის არ წარმოშობს არანაირ სამართლებრივ შედეგებს. პროფესიული სტუდენტისთვის სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს მხოლოდ შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის მიუღებლობა.

მუხლი 9.გარდამავლი დებულება

წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით